სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 09 ივნისის №49/2014 და 2017 წლის 17 მაისის №54/2017 დადგენილების საფუძველზე იურიდიულ ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევის კრიტერიუმებისა და ვადების განსაზღვრის წესი

მუხლი 1. მიზანი

წინამდებარე წესის მიზანია ფაკულტეტზე ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდენის გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების შერჩევა.

მუხლი 2. საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების წინაპირობები

1.ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი აბარებს გამოცდას შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლების ენაში.

2. გამოცდა ენა/ენებში ტარდება წერილობითი სახით. საგამოცდო ნამუშევრები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. გამოცდა ჩაბარებულად ითვლება, თუ აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი მიიღებს დადებით შეფასებას (მინიმუმ 51 ქულა).

3. ენის/ენების გამოცდიდან თავისუფლდება აბიტურიენტი/სტუდენტი/მაგისტრანტობის კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს ან/და უცხოეთში/საქართველოში საბაზო/სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს/უმაღლესი განათლების შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს.

4. იმ აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის ენის/ენების გამოცდიდან განთავისუფლებაზე, რომელიც წარმოადგენს ენის/ენების ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერთიფიკატს, გადაწყვეტილებას იღებს თსუს ენების შემსწავლელი ცენტრი.

5. ვაკანტური ადგილის არსებობის შემთხვევაში ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე კანდიდატის შერჩევას ახორციელებს ფაკულტეტზე შექმნილი კომისია, ენის/ენების გამოცდაში მიღებული საუკეთესო შედეგების მიხედვით.

6. აბიტურიენტის/სტუდენტის/მაგისტრანტობის კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერთიფიკატის მიხედვით განისაზღვრება ქულა თსუ-ში მოქმედი შეფასების შესაბამისად.

7. მაგისტრანტობის კანდიდატი/მაგისტრანტი საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩაბარების მიზნით გადის ფაკულტეტის მიერ განსაზღვრულ შიდა გამოცდებზე: უცხო ენასა და სპეციალობის გამოცდებზე.

8. ფაკულტეტის მიერ ინფორმაცია პირის მიღების შესაძლებლობის თაობაზე - სახელის, გვარისა და საგანმანათლებლო პროგრამის მითითებით, სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლებში არსებულ ვაკანტურ ადგილზე შესაბამისი გამოცდის/გამოცდების ჩაბარებისა და კონკურსის გავლის შემთხვევაში წარედგინება სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტს.

9. ფაკულტეტის წარდგინება ბოლო საკონკურსო ადგილზე გასულ ორ ან მეტ პირზე გაიცემა ვაკანტური ადგილების გადაჭარბებით.

მუხლი 3. გამოცდების ჩატარდების პროცედურა

1. საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის სპეციალობის საგამოცდო და სააპელაციო კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება დეკანის ბრძანებით.

2. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრისთვის საბუთების წარმოდგენის ბოლო ვადად განისაზღვროს ივლისის თვე, ხოლო გაზაფხულის სემესტრისათვის-იანვარი.

3. ერთიანი ეროვნული/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე პირთათვის ქართულ ენაში გამოცდა ჩატარდება საბუთების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლიდან 2 კვირის ვადაში.

4. გამოცდის ჩატარებას უზრუნველყოფს თსუ-ის საგამოცდო ცენტრი.

5. ენის/ენების გამოცდის ტესტების მომზადებას და საგამოცდო ნაშრომების გასწორებას ახორციელებს თსუ-ის ენების შემსწავლელი ცენტრი, რომელიც პასუხისმგებელია ტესტის სისწორესა და გამოცდის შეფასებათა სიზუსტეზე.